# სახალხო გაზეთი

№ 573 პარასკევი, 13 აპრილი, 1912 წ. № 573

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



კვლავ ვაცხადებთ, რომ „სახალხო გაზეთს“ ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. საზ. მთავარ მაღაზიისა, და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.



1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

1 აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.



თ. ჯამბაკურ დავითის ძე გურიელის

გარდაცვალების შემდეგ მეორმოცე დღეს დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკკლესიაში, შაბათს, 14 აპრილს, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დები, ძმები, დისწულები და ძმისწული განსვენებულისა. (3—1198—2)

შაბათს, 14 აპრილს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

კორნილე (ნელიკო) კასრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს განსვენებულის **დედა, დები და ძმანი.** (2—1202—1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**კვირას, 15 აპრილს,**

ახალგაზდა მსახიობი **დ. მგალობლიშვილი** ქართ. მსახიობთა ამხანაგ. მიერ გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება

**დ. ერისთავის** ცნობილი ისტორიული პიესა **სამშობლო,** ისტორ. დრამ. 5 მოქმედებად.

უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ლიონიძე—გუნია, შაჰაბაზ—იმხნელი, ქეთევან—ქილარჯიშვილი, ხიმშიაშვილი—მგალობლიშვილი, ფაიხოშ—ტ. აბაშიძე. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ქილარჯიშვილი, ბ-ნნი იმხნელი, გუნია, მესხი, მატარაძე, ჭიჭინაძე, მგალობლიშვილი, ციციშვილი, საფაროვი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დასაწყ. საღ.** $8^{1}/_{2}$ **ს.** ✦ ადმინ. **იორდანიშვილი,** რეჟ. **გუნია.** (3.1199.1)

# ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^{1}/_{2}$—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^{1}/_{2}$—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^{1}/_{2}$—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^{1}/_{2}$—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^{1}/_{2}$—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ-დღე) 1—2.
**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^{1}/_{2}$—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^{1}/_{2}$.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^{1}/_{2}$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wass-rman-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—312)

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

**ტფ. მასწავლებელ ქალთა საზოგადოება** კვირას, 15 აპრილს, გამართავს სალიტერატურო-სამუსიკურო დილას, შემდეგი პროგრამით:

I **განყოფილება.** ✦ **ლექცია ილიკო ჭანკაშიძისა** ✦ (ქართულად):

ეგნატე ნინოშვილი

შინაარსი: მხატვრული მწერლობის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებასა და ისტორიაში. ნამდვილი ხელოვნების საფუძველი. ე. ნინოშვილის ნაწერების განხილვა ნამდვილი ხელოვნების თვალსაზრისით. ე. ნინოშვილის მოთხრობების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. კაცთ-მოყვარეობა, როგორც საფუძველი მწერლის შემოქმედებისა. ე. ნინოშვილის მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართულ ცხოვრებასა და მწერლობაში.

მეორე და მესამე განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ—ყოფილი ადიუნქტ-პროფესორი მოსკოვის კონსერვატორიისა ფ. კ. ვილშაუ (დაუკრავს როიალზე), ქ-ნები რონელი-პიასეცკისა, ცაცა ამირეჯიბი, ო. ლეჟავა, მ. შავერზიშვილი; ბ-ნები: დანოვსკი, ტარასევიჩი, ქუჩიშვილი, გრიშაშვილი, ანდრონი, მჭედლიშვილი, წულაძე, ადგილ. ფასი 5 კაპ.—50 კ.-მდე. დასაწყისი დილის 12 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება: წ. კ. საზოგადოების კანტორაში, მასწავლებელ ქალთა კანტორაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. შემოსავალი მოხმარდება ავლაბრისა და ნავთლუღის ღარიბ ქართულ სკოლებს. (3.1303.1)

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.

**შაბათს, 14 აპრილს,** სახ. სახ. არს. წარმოდგ. მმართველ წრის მიერ

ასიკო ცაგარლის 10 წლის შესრულების გამო

წარმოდგენილი იქნება **რაც გინახავს ველარ ნახავ** კომ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა.

**წარმოდგენის წინ ბ. აბრახამე წაიკითხავს ასიკო ცაგარლის ბიოგრაფიას.**

მონაწილეობენ ქ-ნნი: ბეჟანოვი, ბადრიძე, გოდერძი, ქართველიშვილი, ბ-ნნი ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ინაშვილი, შ. ხონელი, სანდალა, რომანიშვილი, მეტრეველი, დ. ბაქრაძე, ფრონის-პირელი, პიაგრელი, პანკვეტაძე, ხახანაშვილი და სხვ. ✦ ბილ. იყიდება თეატ. კასაში დილის 12—2 და საღ. 6—8 ს. ადგილების ფასი 5—50 კ. **დასაწ. საღ. 8 ს.**

შემდეგი წარ. 18, 22 და 27 აპრ. წარ. იქნება მსხვერპლი, ქრისტინე, ლალოტა.

(2. 174.1) რეჟ. **ალ. წუწუნავა,** ადმ. **ს. ჯულელი,** მორ. წევრი გამგ. **ა. ჭიაბერიშვილი.**

ახალი კლუბი

პარასკევს, 13 აპრილს 1912 წელს.

ჩვეულებრივად

სინემატოგრაფი

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** (1—1192—1)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული ✦

**კაფე-პარიზი**

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

**ღია იქნება ღამის 2 საათამდე**

11—1 საათ. ✦ 1—5 ს. ✦ 5—2 ს

**საუზმე**—30 კ. ✦ **სადილი.** ✦ **ვახშამი**—30 კ.

**ყოველ დღე:** ღომი ღომით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—29)

ქუთაისში

ძმ. ე. და პ. საკაშვილები.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

**1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი**

**რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.**

და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ჟესტი“, სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

**ფასები ზომიერია.** (25 1195.4)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის“,

25 ცალი 15 კ. ღ 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,** ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

**ყველგან იყიდება,**

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები“

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.

(100.1036.18)

ქუთაისში

● ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში ●

ფ. ს. ფილიპპოვისა,

ალექსანდროვ.-ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის“ გვერდით.

**საზოგადოების სურვილით**

**გრძელდება იაფიანი იაფ-ფასიანი ვაჭრობა**

**აპრილის დამლევამდე.** ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.

(25.1187.6) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**

ქუთაისში

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10.** ტელეფ. 792. (თ.100—1534—199)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., **№ 20.** (წ.—1022—31).

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—$5^{1}/_{2}$ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფ. პირდაპირ. (25—1178—14)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს. 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ✦ **თელავში—თამარა აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—გ. ი. სტურუასთან.** ✦ **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ✦ **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—1153—3)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:**

| | |
|---|---|
| არჩილ მეფე. ცხოვ. მეფე თეიმურაზ პირველისა . 50 კ. | ორბ. „ ვახტანგ . . . . 60 „ |
| ბარათაშვილი. ლექსები. გამოც. მერკვილაძისა . . . 40 „ | „ ნინო . . . . 30 „ |
| ბაჩანა. დიაკვნიანი . . . . 20 „ | „ოჰ, მარგალიტავ“ ღ სხ. სასიმღ. 10 „ |
| ბესიკი. ლექსები . . . . 30 „ | პატარა კრებული საუკეთესო ლექსებისა. . . . . 15 „ |
| განდეგილი. ლექსები . . . 50 „ | პოემების კრებული. . . . 5 „ |
| გრიშაშვილი. ოცნების კოცნა 10 „ | რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა მეფე ერეკლესი. |
| გურამიშვილი. დავითიანი . 1 მ. „ | პოემა . . . . . . 15 „ |
| გურიელი მამია თხზ. . . . 1 „ „ | სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1. . . . . 20 „ |
| დადიანი ნ. ტ. საამდროვო გამოცანები . . . . 15 კ. | „ ცხოვრ. სურათები № 2. 20 „ |
| დუტუ-მეგრელი I . . . . 70 „ | „ ალსარება № 3. . . 5 „ |
| „ მწარე ფიქრები . . . 20 „ | „ ლექსები 1878—1891. 50 „ |
| ევდოშვილი ლექსები . . . 60 „ | „ სიმები . . . . . 5 „ |
| ერისთავი რაფიელ I ტ. . . 1 მ. „ | ქართვ. პოეტ. რჩეული ლექსები 25 „ |
| „ „ II ტ. . . 40 კ. | ჩახრუხაძე. ქნარი . . . 20 „ |
| ვეფხის ტყაოსანი . . . . 60 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი 60 „ |
| ვაჟა-ფშაველა. თხზ. . . . 1 მ. „ | „ ქება ქებათა სულამიტ. 10 „ |
| „ ახუნდი . . . . . 5 კ. | ცახელი. რავდენიმე ლექსი . 15 „ |
| „ ცრემლები . . . . 50 „ | ცისარტყელა. სალიტერატურო კრებული. . . . . 15 „ |
| თეიმურაზ მეფის ლექსები . 30 „ | |
| ორბელიანი გრ. ლექს. . . 20 „ | |

ადრესი: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—24)

სასტუმრო „ევროპა“

ტფილისი მიხეილის პროსპ. № 102, ტელეფ. № 654.

სრული სისუფთავე და ხელმისაწდომი ფასები, სადილი ევროპიული და ქართული: ორი თავი 40 კ.; სამი თავი—60 კ.; ოთხი—60 კ.; სადილ-ვახშმის დროს უკრავს ორკესტრი. **პატივისცემით ი. ნ. თოფურია** (1.365.1)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი“

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.55)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 280)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.136)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. **№ 18,** თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. **№ 1182.** (თ. 1591 144)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. **Mathieu**-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., **№ 39,** ტელეფონი **№ 1067.** (100—1117—138).

**ექიმი კბილისა არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა № 166.** (25.1179.14)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., **№ 67,** სახლი სვანიშვილისა.

# ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**. ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა 606 -**

(წლ.—1018—250)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—72.

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—70)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.90).

**ექიმი კბილისა ნინო რჩხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10--2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.


# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ნ. დურნოვო, ცნობილი მწერალი, მიმართულებით მემარჯვენე, ეხება იმ საკითხს, შეეფერება თუ არა ქრისტიანობას სამღვდელოების მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში. ნ. დურნოვო უარყოფითი პასუხს იძლევა და ამბობს, სამღვდელოება ხალხთან უნდა იყოს, საეკლესიო საქმეებს უნდა ემსახურებოდეს და არა პარტიები ადგინოს სახელმწიფო სათათბიროში, ის მღვდლები, რომელნიც სათათბიროში სხედან და დევიზად ყველა არა რუსთა დევნა გაუხდიათ, ქრისტიანობის ნამდვილი დამცველები არ არიანო.

,,საკმარისია წავიკითხოთ სიმართლით აღსავსე წიგნი ბ-ნ მენშიკოვისა: ,,რუს მასწავლებლის მოგონებანი ქართულ სასულიერო სემინარიის შესახებ'',—სწერს ნ. დურნოვო,—რომ ჩვენთვის ცხადი გახდეს შემდეგი: არავინ არ უწყობდა ხელს ისე ძალიან ქართველების გარევოლიუციონერებას, როგორც კურსკის ეხლანდელი არქიეპისკოპოსი, რომელმაც რევოლიუციონერთა წრე სემინაარიიდან დათხოვნილ ქართველებით გაავსო.

* *

„ოდეს. ნოვ."-ი ეხება ლენის ამბებს და აღნიშნავს, ამხანაგობამ არავითარი ზომები არ მიიღო უბედურების თავიდან ასაცილებლადაო. ეს გაზეთიც ლენის გაფიცვას ინგლისის გაფიცვას ადარებს და ამბობს, უდიდესმა გაფიცვამ ინგლისში სრულიად უმსხვერპლოდ ჩაიარა მაშინ, როდესაც ლენის შედარებით პატარა გაფიცვამ ას სამოცდა ათი კაცი იმსხვერპლაო. გაზეთი, სხვათა შორის, სწერს:

,,ვისაც გაფიცვა ჰსურს, ვალდებულია იცოდეს, რომ რუსეთი ინგლისი არ არის, კოკოვცევი—ასკვიტი, სახელმწიფო სათათბირო—ინგლისის პარლამენტი და თოფი—პოლისმენის კეტი''.

# სახელმწიფო სათათბირო

## დეპეშები

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.**

მესამედ განხილვის შემდეგ უკამათოდ მიიღეს ქალაქებისა და ერობათათვის კრედიტის მოწყობის კანონპროექტი.

შემდეგ სათათბირო გადადის შაქრის მწარმოებლობის გაძლიერებისთვის მისაღებ ზომათა კანონ-პროექტის განხილვაზე.

**ფინანსთა მინისტრის თანაშემწემ ნოვიცკიმ** შეიტანა შესწორება და მიაღებინა კიდეც, რომლის ძალით ფუთ შაქრის და არა მისი ფხვიერის გადასახადი იქნება ერთი მანეთი. შემდეგ ნოვიცკი იცავს შეტანილ წინადადებას, რომლითაც მოითხოვს სააქციონერო საზოგადოების აქციებისა და პაიების გამოცემას.

**ლერხე** წინააღმდეგია წინადადებისა, შაქრის წარმოებას ავნებსო,

წინადადება უარჰყვეს.

შემდეგი მუხლები ისევე დარჩა, რაც პირველ განხილვის დროს მიიღეს. მიიღეს აგრეთვე **პახალჩიკის** მოსაზრება, სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებას ნება მიეცეთ შაქრის საკომისიო წესით გაყიდვისა. უკამათოდ მიიღეს შაქრის ნაყოფის დენატურაციის კანონ-პროექტი.

შემდეგ უკამათოდვე მიიღეს **ანდრონოვის** მოხსენებისამებრ კანონპროექტი უცხოეთში სავაჭრო აგენტების გაჩენისა.

უარჰყვეს კანონ-პროექტი საარტილერიო გამგეობისათვის ფულის გადადების კანონ-პროექტი და თანაც დასძინეს, ეს უწყება ჯარის საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს და სამხედრო სამინისტრომ მის რეფორმისათვის უნდა იზრუნოსო. უკამათოდ მიიღეს 5 კანონ-პროექტი.

**ალექსეენკო** კითხულობს ხაზინის ოთხ პროცენტიან ქაღალდების გამოსყიდვისათვის 100 მილიონის გადადების კანონ-პროექტს.

**ფინანსთა მინისტრის თ-ნ შემწეს პოკროვსკი** ამბობს, პროცენტის განსაზღვრა საფინანსო კომისიის საქმეა და ამიტომ აქ მეტია თქმა, 3,6 პროცენტიანი სერია უნდა გამოუშვათო.

**ალექსეენკო** უპასუხებს პოკროვსკის და შესწორება შეაქვს, ხაზინის ბილეთები 3,6 პროცენტს არ აღემატებოდესო.

კანონ-პროექტი ალექსეენკოს შესწორებით მიიღეს.

**გლებოვი** კითხულობს მოსაზრებას, რომელიც მოითხოვს საქალაქო და საერობო დაწესებულებათა დებულების 38 მუხლის შეცვლას. მომხსენებელმა აღნიშნა წოდებრივი ხასიათი საერებო დაწესებულებათა. მოითხოვა, ამომრჩეველთა კრებას ნება ჰქონდეს ამოირჩიოს არა მარტო თავისიანი, არამედ ყველა, ვისაც საარჩევნო ხმა აქვსო, რადგან ხშირად ხმოსნების რიცხვს აკლიაო.

**გრაფი უვაროვი** აღნიშნავს, ხუთის წლის განმავლობაში სათათბიროს საერობო რეფორმისათვის ყურადღება არ მიუქცევია და ეხლანდელი ცდა ჰნიშნავს, რომ უმრავლესობას მაინც ჰსურს რაიმე ფხა გამოიჩინოს.

**პეტროვი** ამბობს, ხმოსნებში უმეტეს წილად აზნაურობა აკლია, ეს მოსაზრება თავად-აზნაურობის უფლების განმტკიცებისათვის შემოუტანიათ და უარსაყოფიაო.

**როდიჩევი.** წინააღმდეგია მოსაზრებისა და თავად-აზნაურობის უპირატესობის განმამტკიცებლად მიაჩნია.

**ეფრემოვიც** როდიჩევის აზრისაა. მოსაზრება მოიწონეს 83 ხმით 64 წინააღმდეგ.

**ლუცი** კითხულობს ქალთა უფლების გამათვარიოებელ კანონპროექტსა. გათხოვილ ქალებს ნება ეძლევათ ქმრის დაუკითხავად პასპორტის აღებისა, ნებას აძლევს ქმრისავე დაუკითხავად უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა, სამსახურში შესვლისა თამასუქის გაცემისა და სხვა. კანონპროექტი ნებას აძლევს მეუღლეთა ცალკე ცხოვრების ნებართვა მოსთხოვონ სასამართლოს, თუ მოისურვებენ და განსაზღვრონ ქონება, ბავშვებისადმი ურთიერთობა. კანონპროექტი საჭიროდ აღიარეს და სამ განხილვის შემდეგ მიიღეს იუსტიციის მინისტრის ჰასმანის უმნიშვნელო შესწორებითა.

**ბარონი ტიზენჰაუზენი კითხულობს** მუშათა საკითხთა კომისიის დანასკვს უბედურ შემთხვევისაგან დასახიჩრებულ მუშათათვის და მათ ოჯახებისათვის ფულის დახმარების მიცემის თაობაზე. მომხსენებელი აღნიშნავს, ეს კანონპროექტი წარმოსდგა ამას წინად სათათბიროს მიერ მიღებულ მუშათა დაზღვევის კანონპროექტისაგანაო. განსხვავება ის არის მხოლოდ, ეს კანონპროექტი მრეწველებს საკოლექტივო პასუხისმგებლობას არ აკისრებსო, და ბოლოს მომხსენებელი მოითხოვს პროექტის სწრაფად განხილვის საჭიროების აღიარებასა და მუხლობრივ განხილვაზე გადასვლასა.

**დობროვოლსკი** აღნიშნავს, კანონ-პროექტი რკინის გზის მუშებს შეეხება უმთავრესად და მათ მდგომარეობას კი აუარესებსო. ამიტომ, იმედია, სათათბირო ყურადღებით მოეპყრობა შემოტანილ შესწორებათაო.

მომხსენებელი **ტიზენჰაუზენი** მოითხოვს სწრაფად განხილვის საჭიროების აღიარებას.

კენჭი უყარეს საკითხსა, მაგრამ დარბაზში დეპუტატების საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა.

სხდომა 15 წუთით შესწყვიტეს.

სხდომის განახლებისას გზათა მინისტრის თანაშემწემ **შჩუკინმა** კანონ-პროექტის სწრაფად განხილვა მოითხოვა.

**ნეკრასოვი** წინააღმდეგი იყო ამისა.

კენჭის ყრით 100 ხმით 87 წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა) სწრაფად განხილვა საჭიროდ სცნეს.

დაიწყო საზოგადო კამათი.

**დობროვოლსკიმ** აღნიშნა ბევრი ნაკლი კანონპროექტსა, მაგალითად არა არის რა ნათქვამი საპროფესიო ავადმყოფობის გაჩენის დროს ფულის გაცემის თაობაზეო და სათათბიროს სთხოვს, როცა მუხლობრივ განხილვაზე გადახვალთ, სურვილი გამოსთქვით, რომ ამისთანა ავადმყოფობის დროს ფულის გაცემის კანონპროექტი შეიმუშავონო.

შემდეგ ლაპარაკობს გზათა მინისტრის თანაშემწე **შჩუკინი** და უპასუხებს დობროვოლსკისა. მინისტრის თანაშემწემ ბევრი ილაპარაკა და კანონ-პროექტს გამოესარჩლა. შემდეგ მაქვს, სათათბირო მიიღებს კანონპროექტსა და მოიმადლიერებს რკინის გზის მოსამსახურეთ, რომელნიც საჭიროებისამებრ სიცოცხლეს არ ჰზოგავენ და გმირებივით ჰკვდებიანო (ცენტრალებისა და მემარჯვენეთა ტაში).

კანონ-პროექტის განხილვა შესწყვიტეს.

წაიკითხეს გუშინ კადეტების მიერ შეტანილი შეკითხვა კავკასიის ნამესტნიკისადმი, იგი ეხება 1911 წლის 9 მაისის სათევზაო კანონის შემოღების შეფერხებას.

**ვინოგრადოვს** პირველს მოუწერია ხელი და ამიტომ პირველად ის ლაპარაკობს. იგი შეკითხვის სწრაფად განხილვის საჭიროების აღიარებას მოითხოვს და აღნიშნავს, ნამესტნიკმა ამ კანონის შემოღების შეფერხებით იმპერიის ძირითადი კანონები დაარღვია და გამოიჩინა სრული ყურადღებლობა კანონმდებელ დაწესებულებათადმიო.

შეკითხვის სისწრაფე და თვით შეკითხვა ერთხმად მიიღეს.

# სახელმწიფო საბჭო

## დეპეშები.

**თავმჯდომარეობს აკიმოვი.**

განსახილველია ხაზინიდან ნავთსადგურთა ასაშენებლად ფულის გადადების კანონპროექტი.

**კრამერი** აღნიშნავს, ვაჭრობის სამინისტრო კერძო პირებს აძლევს ნავთ-სადგურთა აშენების უფლებას, მაგრამ თითონვე აფერხებს ხოლმე საქმესა და ხელს უშლისო.

**ზინოვიოვ მე-2** შეიტანა ფორმულა, რომლითაც მოითხოვა, ვაჭრობის სამინისტრომ კერძო პირებს მიანდოს ნავთსადგურთა აშენებაო.

ამ წინადადებას მიემხრო ვაჭრობის მინისტრი. ფორმულა და კანონპროექტი ერთხმად მიიღეს.

შემდეგ საბჭო შეუდგა პირველ დაწყებითი სკოლების კანონპროექტის განხილვას.

სათათბიროს რედაქციით მიიღეს 54 და 55 მუხლები, რომელიც ინსპექტორებს ნებას აძლევს სასწავლებელთა საბჭოების დადგენილების შეჩერებისას.

56 მუხლი, რომელიც ინსპექტორს ნებას აძლევს სასწავლებლის დაკეტვისას, ზვეგევის რედაქციით მიიღეს. ამ მუხლის ძალით სასწავლებლის დაკეტვა მაშინ შეიძლება, თუ კანონს გადაუხვია.

კამათი ასტყდა 59 მუხლის გამო. იგი სპეციალურ საგნებისათვის სხვა და სხვა პირთა მოწვევას ეხება.

**ვასილიევმა** მოითხოვა, სათათბიროს რედაქციის აღდგენა, რომელიც ინსტრუქტორების მოწვევის ნებას იძლევა სხვა საგნებისათვისაც.

**ოლსუფიევს** თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიაჩნია, რომ ინსტრუქტორები ინსპექტორებს ექვემდებარებოდნენ.

**განათლების მინისტრის თანაშემწე ტაუბე აცხადებს:** სათათბიროს რედაქციით მუხლის მიღება შეუძლებელია, რადგანაც ამ საქმეში ორმაგობა არ ევარგებაო.

საბჭომ მუხლი კომისიის რედაქციით მიიღო.

სხდომა ცოტა ხნით შესწყვიტეს.

სხდომის განახლებისას კამათი დაიწყო 60—73 მუხლთა გამო, რომელიც სპეციალ საგნების ინსტრუქტორებსა და სასწავლებელთა საბჭოების შემადგენლობას ეხება.

სამოცდა-მეთხუთმეტე მუხლი განათლების მინისტრის თანაშემწის ტაუბეს შესწორებით მიიღეს, რომელშიაც „კომპლექტი" ჰგულისხმობს 40 მოწაფეს და ერთ მასწავლებელს. სამოცდა-მეჩვიდმეტე და მერვე მუხლი **გრაფ უვაროვის** შესწორებით მიიღეს, იგი ეხება სკოლათა საბჭოების თავმჯდომარეობას.

დანარჩენი მუხლები სახელმწიფო საბჭოს კომისიის რედაქციით მიიღეს.

შემდეგი სხდომა 13 აპრილს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**✦ შეკითხვა კავკასიის ნამესტნიკს.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, სათათბიროს ერთხმად მიუღია კადეტების მიერ შეტანილი შეკითხვა კავკასიის ნამესტნიკისადმი მიმართული. იგი შეეხება 1911 წლის 9 მაისის კანონის შემოღების შეფერხებას. ეს კანონი თევზაობის საქმეს ეხება.

**✦ თოვლი დაღესტანში.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, დაღესტანში თოვლი მოსულა. ხეხილი თურმე უკვე აყვავებულიყო და ვენახებსაც კვირიტი გამოტანილი ჰქონია.

**✦ საქართველოს სამხედრო გზა.** დიდი თოვლის გამო საქართველოს სამხედრო გზაზე, დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, მიმოსვლა შეწყდარა.

**✦ ქალაქ ტფილისის სამუნიციპალო გეგმა** ქალაქის გამგეობის სამიწის-მზომელო განყოფილებამ უკვე დაამთავრა. გეგმაში გარკვევით არის ნაჩვენები, ქალაქ ტფილისის ტერიტორია როგორ თანდათან და შეუჩერებლივ იზრდებოდა 1670 წლიდან დაწყებული 1912 წლამდე. ტფილისს ტერიტორია სჭერია: 1670 წელს—70 დესეტინა, 1735 წ.—235, 1809 წ.—402, 1840 წ. 1,364, 1869 წ. 1,706, 1902 წ.—2,542, ხოლო 1912 წ.—3,755 დესეტინა. ... 242 წლის განმავლობაში ... ბია 3,525 დესეტინა.

**ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა:** მიხეილ თათუზოვი თელავის ქალაქის მოურავად, ხოლო გასპარ თათუზოვი მის თანაშემწედ.

**✦ ჭლექთან ბრძოლა.** კვირას, 15 აპრილს, ჭლექთან მებრძოლი კავკასიის საზოგადოება ჭლექიანთა მისაღებად ამბულატორიებს ჰხსნის ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოსთანა და ხარფუხისა და კუკიის განყოფილებებთან.

**✦ ქალაქის საფსიხიატრო საავადმყოფოს** შენობის პროექტი ხელმეორედ შეიმუშავა ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა და ქალაქის გამგეობას წარუდგინა.

**✦ ექსკურსია.** 22 აპრილს ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლენი მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ბორჯომის ქარხნებს დასათვალიერებლად მიემგზავრებიან.

**✦ ხორცის ვაჭრობის საქმის მოწესრიგების** გამო უთანხმოება ჩამოვარდა ქალაქის გამგეობასა და ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის შორის. კომისიას აზრად აქვს, ხორცი ორ ხარისხად დაჰყოს. გამგეობა კი არ ეთანხმება იმ მოსაზრებით, ხორცის ხარისხებად დაყოფა მიზანს ვერ მიაღწევს, რადგანაც ყასბები მეორე ხარისხის ხორცს პირველ ხარისხის ფასში გაჰყიდიანო.

**✦ უეცრივ გარდაცვალება.** 11 აპრილს, დილით, ვიღაც უცნობი კაცი, დაახლოვებით 55 წლისა, კახეთის ქუჩაზე მიდიოდა. უცებ დაეცა ქვაფენილზე და გარდაიცვალა. გარდაცვლებული, რომლის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, არამიანცის სახელობის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

**✦ თავის მოკვლის განზრახვით** 11 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ხოჯივანქის სასაფლაოზე ნიშადურის სიმჟავით თავი მოიწამლა ტფ. მოქალაქემ გევორქ ბაგრატის ესრაჯევმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად არამიანცის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

**✦** საქართველოს სამხედრო გზაზე **თოვლის გამო გზა შეკრულა** მლეთსა და გუდაურს შუა.

**✦ მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა** თავის ხარჯთ-აღრიცხვაში 58,200 მან. შეიტანა კავკასიის მევენახეობისა და მეღვინეობის რვა კომიტეტის შესანახად. თვითეულ კომიტეტზე 7,275 მანეთია გადადებული.

**✦** ქალაქის გამგეობამ უკვე მიიღო ამას წინად შეკვეთილი **მარმარილოს ფიცარი,** რომელსაც წურინოვის სახლს მიაკრავს. ფიცარს შემდეგი წარწერა აქვს: „ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი 1829 წელს სცხოვრობდა იმ სახლში, რომელიც ამ ადგილას იდგა".

**✦** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, 31 მარტის განკარგულებით, ნება დართო, რომ სკოლებში საკითხავად იქონიონ 1910 წლის საყმაწვილო ჟურნალ **„ნაკადულის"**

# იაკობ შემოქმედელი დუმბაძე.

(დასასრული *)

ეს თხზულება შეტანილია წ. კ. მხედრულად 1773 წელს გადაწერილს კრებულში № 342, გვ. 274—325) და შესდგება 290 ოთხ-სტრიქონოვან ტაეპისაგან. დაწერილია შაირად (16 მარცვლოვან ლექსად). გაყოფილია რამდენიმე ნაწილად. იწყება ღვთისმეტყველებით და აქ ჩართულია აგრეთვე შემდეგი ტაეპი, რომელშიაც აქსონი თავის-თავსაც არ ივიწყებს.

„**რუსთველი.** ვთქვა. თავს. მელექსედ. მზედ. კირჩხიბის. ეტლს. მჯდომარედ:—
თეიმურაზ. არჩილ. მეფე. ორივ. მისად. მეჯუფთარედ:—
თვით. ცისკრისა. მთიებად. ვსჩან. სანთლად. მათთვის. წინ. მთებარედ:—
სხვა. შეყრილნი. მელექსენი. ცუდვარსკვლავად. მოუხმარედ:—
**ვრიტორებ.** სიბრძნის. ევგური. შემოქმედელი. იაკობ:—
მიცნობენ. სამღთოდ. გარეშედ. ვნარნარებ ტკბილად. ვმუსიკობ:—
ბრძენთ. სიტყვას. კარგად. მოვისმენ. არ. დავგმობ. თვით. მე. შეუმკობ:—
ქრისტესთვის. ვერძად. საკლავად. მზად. ვართ. მთაზედა. ვისაკობ:"

შემდეგს თავში მაჰმადის ამბავია:

„ჟამითა ერეკლე მეფისათა გამოჩნდა ქელბაშ მოამედ:—
ულთო ურწმუნო უსჯულო წვალებების მეტად მოამედ:"—

ისმაიტელთ ცხოვრება მათს წიგნში სწერიაო:

„არს წიგნი მათი, რომელსა **ყოვლად**) იამზად უხმოპენ
ისმაიტელთა ცხოვრება მაში სწერა, უწყოდენ.

იმისგან ჩვენც გადმოვიღეთ მცირედ რამ, ესეც იცოდენ
საეროს წიგნად იკითხვენ, დარეჯანიანს უწოდენ".

თუ მაჰმადიანმა გკითხოს:

„ქართველს წიგნი თავს ვინ მოგცათ ანუ ბოლოდ სამ მოელი?
უთხარ: „ყური მომიპყარი, მაჰმად გრწამს, თუ ისმაელი...
ქართველთ ძენი გამოვიდენ უწინარეს თქვენამდისა,
ბევრგან მყოფნი, არ მიმსვლელნი ნეჯელ-ქელბელ-მაჰმადისა".

ქართველ მთარგმნელებმა ბერძნული და არაბული კარგად იცოდნენო. დავით, სტეფანე, ეფთვიმე, გიორგი, საბა, ეფრემ,—ამათ გვითარგმნესო ყველა წიგნები (გვ. 308).

ბოლოს კვლავ შენიშნავს აქსონი:

„ვიყავ მეფეთ საკაპაყმო...
„კანონად მიჩანს ლექსთა თქმა,
მსოფლიო მოშაირობა".

იაკობისაგან გალექსილი ზოგიერთი ადგილი მოთხრობილია სხვათა მიერაც, მაგალ., ბატონიშ. ბაგრატის მიერ.

გიორგი მეფე, რომლის ბრძანებით შემოქმედელს გაულექსია „ბაასი", ქართლის ტახტზე იჯდა 1676—1688 წ. მერე, ყაენისაგან გადაყენებული, ზემო ქართლის, საათაბაგოს დატრიალებდა და ამ დროს, ალბად, წინადადება მისცა მიტროპოლიტ იაკობს თათართ პირდასაყოფი წიგნი დაეწერა (მაშინ სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანობა სულს ღლავს-დითქვავდა).

საეკლესიო მუზეუმის კატალოგში (წიგნი 2, № 656) სწერია: „ქართულ მწერლობაში უცნობი პოემა ცნობილის მწერლის მიტროპოლიტ იაკობ დუმბაძესი „შესხმა მეფის არჩილისა".

სამწუხაროდ, ეს თხზულება ბატონ ცაგმულს ავქსონს არ წაუკითხავს, რომ წაეკითხა, დაინახავდა, რომ № 656-ში თავიდან ბოლომდე მოყვანილია თხზულება იოანე შავთელისა და არა იაკობ შემოქმედელისა.

აქ ყველა შავთელისაა, გარდა გადამახინჯებულ სათაურისა; მასვე ეკუთვნის ისიც, რომ საცა თამარია ანუ დავითი, მას ამ სახელების მაგიერ (გარდა 53 ტაეპისა) ჩაუწერია არჩილი. თვით შესხმის ბოლოს კი დავიწყებია თავის აზრის სათანადოდ შეესწორებინა სიტყვები:

„დასრულდა ესე მეფის თამარის ქება-შესხმანი და გადმოვსწერე მე დავით ივანეს ძემ ამირიძემ წელსა ჩყოზ იანვრის კზ" (1877 წ. 27 იან.).

შემოქმედელისვე თაოსნობით დაგვშთენია კიდევ ორი შესანიშნავი კრებული (მუზეუმისა № 69 და № 691).

№ 69-ს დაუცავს გრიგოლ ხანძთელის ძეგლზე არა ნაკლები, თუ არა მეტიც მნიშვნელობით, საუნჯე —სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, და აგრეთვე ძვირფასივე თხზულება პროკლეს დიადოხოსისა პლატონისურ ფილოსოფიის კავშირნი თვით პეტრიწის ფილოსოფიურ განმარტებათა დართვით (იხ. დაწვრილებით „საქ. მწერლ.", წ. 2).

№ 691 კი დიდი კრებულია და ამასთანავე უშრეტი საუნჯე ღვთის-მეტყველიბრივი, ლინგვისტიური და სხ.

ამ წიგნს ჰქვიან „ფუტკარი". ზედგამოჭრილი სახელია. შემდგენელს, როგორც თაფლის მგროვებელს ფუტკარს, ყოველგან ხელი მიუწვდია, ღ ყველგნით გამოუკრებია ცნობები. აქ აღწერაა იერუსალიმის ტაძრისა, იქ სოფიის ტაძრისა, ქვემოთ ისტორია ბიბლიის თარგმნისა (**გადმოვწერეთ**), სხვაგან მამათ სიტყვასწავლანი, ქრონოლოგიური ცნობები, განმარტება საწონებისა, სარწყავისა და სხ. აქვეა (გვ. 45) თვით „რეცეპტი" შენობათა ასაგებ სითხისა (დღევანდელ კირ-შლამის მაგიერ):

„აღმართებასა ესე ვითარისა ტაძრისსა... და დადგნა ქუაბნი დიდნი; აგბობდა ქერსა და ნიგბობითა მით ზავებდა კირსა ქუიშასა თანა კაცისასა ნაცვლად წყლისა, რამეთუ მალიად შემყოფელი არს წების სახედ. და ეგრეთვე ძეწნის ხისა ქერქსა აგბობდეს ქუაბითა ქერსა თანა საზავებელად კირისა".

აი ის საიდუმლოება ქართულ ციხე-ტაძრების სიმკვიდრისა და სიმტკიცისა, რომლისა გამო ძველი შენობა დღესაც ანდამანტივით მაგრობს და უძლებს ათასგვარ ქირვარამს.

იაკობს მისმა თანამედროვე იოსებ ტფილელმა მისწერა შემდეგი იგავი განსამარტებლად:

„სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული,
მას შვიდნი სვეტნი შეუდგნა შვიდნივე წმიდა გებული;
სიკუდილით მოკლა სიკუდილი, დაიხსნა ცოდვილთ კრებული
ამისი ახსნა თქუენგან მწადს, ვიცი, კაცი ხარ მცნებული".

განმარტება შემოქმედელისა:

„სიბრძნე ქრისტეა და სახლი უბიწო მისი მშობელი;
მან შვიდნი საიდუმლონი ჰყო, მტერთა დასამხობელი;
სიკუდილი ჯუარცმა ქრისტესი, ლახვართა დასახსნელი.
თვითმცნობსა ცნობა გებრძანა, რას გკადრებ მე უცნობელი".

ფრიად საყურადღებოა იაკობ შემოქმედელის კრებულის განმარტება სიტყვისა **პახტი.**

საბათი: „პახტი, ერთს წელიწადს ერთს თემს რაც მოსავალი გამოუვა ერთობით".

ჩუბინაშვილით: „პახტა, ს. მახტი წლის გამოსაღები ერთის თემისა გარდაკვეთით, годовой оброкъ съ какой либо пров інціи".

ასრე განმარტავენ და არც ერთი კი არ აღნიშნავს წყაროს, რომელშიაც ეს პახტი შეხვედრიათ. წყაროს უჩვენებლად კი სიტყვის განმარტება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ასრე გვესმის და თქვენც ამავე მნიშვნელობით იწამეთო!

შემოქმედლის კრებულში ვკითხულობთ (№ 691, გვ. 61): „წაეგო ეგვიპტისა **პახტისაგან** კენტინარი სამას სამოცდა ხუთი; რამე თუ პახტი მოვიდოდა ეგვიპტით რაჲ-წელ*) ლიტრაჲ ათასი, რომელ განაწესა დიდმან კოსტანტინე დღეთა სარვინოს სპარსთა მეფისათა, და სხუაჲ მრავალი ძღუენი",

თვით პახტა უნდა იყოს ლათინური pa ta—ხელშეკრულობის ძალით კუთვნილი, გარდასახდევინებელი. სხვა ხელნაწერში პახტი არ შეგვხვედრია.

არა ნაკლებ საყურადღებოა ამ გურულის იაკობ დუმბაძის მართლწერა: იყვნენ, მოსწონდა, მისცა და სხ. წარსულ დროის მესამე პირის დაბოლოებად ჩნდება ხან მევრული **—ენ**

(შემოკლ. **ორენ**), ხან ძირეულ ქართულ-ჭანური **ნენ**

(შემოკლ. არიან—**არნნ**).

ამ მცირე წერილით არ სრულდება სახელოვან მამათმთავრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა. იმედია, დღევანდელი მისი ღვიძლი შთამომავლობა ჯეროვან ყურადღებით მოეპყრობა თავის წინაპარის ხსოვნას და მის მოქალაქობასა და ნაშრომნაღვაწს გააცნობს, ცალკე გამოცემით, ჩვენს საზოგადოებას.

**მ. ჯანაშვილი.**

*) იხ. ,,სახალხო გაზეთი'' № 572.

*) ყოველ წლივ.

...ომრები, როგორც მცირეწლოვანთა, ისე მოზრდილთათვის.

✦ 11 აპრილს, სალამოს 10 საათზე, მიხეილის პროსპექტზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვის, მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით 2 თვისა. ბავშვი ოლგა საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

✦ 11 აპრილს ტფილისში 31 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიის** კრება 17 აპრილს მოხდება ქალაქის სპეციალურ თანხების მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად.

✦ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 15 აპრილს, საღამოს, მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში.

## სასწავლებლებში.

✦ **პროგიმნაზია ავლაბარში.** 11 აპრილს ავლაბრის საზოგადო საკრებულოს წევრთა კრება მოხდა მიწვეულ პირთა თანადასწრებით. კრებამ აირჩია მომავალ პროგიმნაზიის სამზრუნველო საბჭო, რომელსაც დაავალა პროგიმნაზიის დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინოს და აგრეთვე შუამდგომლობა აღძრას კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე პროგიმნაზიის დაარსების თაობაზე.

## სასამართლო

✦ **საჩივარი.** როგორც ვწერდით, ქუთაისის ოლქის სასამრთლომ ნაფიც ვექილი თავ. მ. ფალავა ნაფიც ვექილთა წოდებიდან გამორიცხა. თავ. ფალავამ ეს დადგენილება ტფ. სამოსამართლო პალატაში განასაჩივრა, სადაც საქმე 14 აპრილს გაირჩევა.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია,** რომელიც თელავს იყო წასული სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად, ტფილისს დაბრუნდა.

## თელავი

✦ **შემნახველ-გამსესხებელი ბანკი.** მოკლე ხანში საადგილ-მამულო კომისიის ინსტრუქტორის ალ. ტატიშვილისა და ვასილ როინაშვილის თაოსნობით ხელოსანთა შემნახველ-გამსესხებელი ბანკი დაარსდება.

## ქუთაისი

✦ 24 აპრილს **ოლქის სასამართლო განიხილავს** საურთიერთო ნდობის საზოგადოების ნადირექტორალ ტ-დი კირილე ლორთქიფანიძისა და საბჭოს წევრებად ნამყოფ სტ. ფირალოვის, ლ. ყოყოჩაშვილის და სხვათა საქმეს. ამ პირთ ბრალ ედებათ, რომ მათ ზარალი მიაყენეს თავის მოქმედებით ზემოხსენებულ საზოგადოებას. ეს საქმე ეხება იმ დროს, როცა საურთიერთო ნდობის საზოგადოების საქმე შეირყა და საგრძნობელი ზარალი ნახა.

✦ აპრილის მეორე ნახევარში ქუთაისში კვლავ გამოვა **ყოველდღიური რუსული გაზეთი** ბ-ნი გ. ჰოლშინის რედაქტორობით და ფერაძის გამომცემლობით.

✦ 8 აპრილს დანიშნული იყო წლიური **კრება ბავშვების მფარველ საზოგადოებისა,** მაგრამ წევრთა კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობის გამო არ შესდგა.

✦ ამავე დღეს მოწოდებული იყო **წლიური კრება სახალხო უნივერსიტეტის** წევრებისა. თუმცა საკმაო რიცხვი წევრებისა გამოცხადდა, მაგრამ კრება გადაიდო შემდეგი კვირისათვის, როდესაც თეატრისა და რადიუმის დარბაზში გაიმართება ქართულსა და რუსულ ენაზე ლექციები, თეთრი ყვავილის გაყიდვის დღის მოლოდინში 20 აპრილს, ჭლექისა და ამ სენით შეპყრობილ დამხმარე საზოგადოების შესახებ. ლექციების შემდეგ გაიმართება კრებაც. როგორც გავიგეთ, სახალხო უნივერსიტეტის წევრთა რიცხვი ამ ჟამად 450 კაცს აღემატება.

✦ ქუთაისის **საადგილ-მამულო ბანკის** გამგეობის თავმჯდომარე თ-დი მ. ფალავა გაემგზავრა ქ. ყარსში, სადაც განზრახვა აქვს მოაწყოს სესხის გაცემის საქმე ამ ქალაქის უძრავ ქონებაზე. ბანკის აგენტად დაუნიშნავთ ადგილობრივი აფთიაქის პატრონი ბ-ნი ჟღენტი.

## დონის-როსტოვი.

✦ ოსმალეთის მიერ დარდანელის სრუტეს დახურვამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია ადგილობრივ პურის ექსპორტერთა შორის. ან რა გასაკვირველია. უთვალავი ხორბალი გადის აქედან აზოვისა და შავი ზღვით საზღვარ-გარედ და რაკი გემთა მიმოსვლა ახლად არის გახსნილი, სწორედ ეხლა იყო გაჩაღებული მუშაობა და შემოდგომიდან ნავთსადგურში დარჩენილს ხორბალს ეხლა ეზიდებოდნენ უცხოეთის ბაზარზე. გუშინ, 8 აპრილს, ექსპორტერებმა სასწრაფო კრება მოახდინეს. კრებას დიდი აღელვება ეტყობოდა. გამოირკვა, რომ მათ პირობა ჰქონიათ საზღვარ-გარეთულ მოვაჭრეებთან დადებული-თუ სრუტე რაიმე მიზეზით დაიხურება ჩვენს ხელშეკრულობას ძალა ეკარგებაო. ამიტომ გადასწყვიტეს დაარღვიონ ეს ხელშეკრულობანი აპრილის განმავლობაში. კრებამ დეპეშა აფრინა კოკოვცევთან და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთან: ადგილობრივი პურის მოვაჭრენი გთხოვთ უმორჩილესად როგორმე დაიყოლიოთ ოსმალეთი გახსნას დარდანელი. პურის ვაჭრობა იღუპება. იძულებულნი ვართ პურის სყიდვა შევაჩეროთ. ჩვენი პური რომ აღარ გავა ბაზარზე, ამით საზღვარ-გარეთელი ჩვენი მეტოქენი ისარგებლებენ და პურის მაზანდას ასწევენ. დავკარგავთ ბაზარს და ერთხელ ხელიდან წასულ ბაზრის დაბრუნება ადვილი საქმე არ არისო. ასეთივე ამბები ხდება ტაგანროგის ბირჟაზეც. უეჭველია, ეს გავლენას იქონიებს ნავთსადგურზედაც და მუშაობა შემცირდება.

## სოფლად

✦ **სოფ. ზოვრეთი** (შორაპნის მაზრა) მაზრის უფროსის თანადასწრებით, სოფლის ყრილობამ შეადგინა განაჩენი, რომლის ძალითაც იგი კისრულობს ორკლასიან სკოლისათვის შენობის აგებას.

# ქართული თეატრის მომავალი.*)

(„შვიდი ძიძა“)

ვინ არ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრს ერის კულტურულ ცხოვრებაში და განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველებისათვის.

ჩვენთვის თეატრი ერთად ერთი დაწესებულებაა, სადაც ჯერ კიდევ გაისმის თავისუფალი ქართული ენა, ეს ერთად ერთი კუთხე შეგვრჩენია, რომელსაც უნდა ჰქონდეს ნამდვილი ეროვნული სახე, ვიწრო ნაციონალური მიმართულება.

თეატრია ჩვენი სიამაყე, ჩვენი წმინდათა წმინდა. ეს არის გული ქართველი ერისა, მისი წარსული, აწმყო და მომავალიც მასშივე უნდა გამოიხატოს.

სცენიდან გვესმის მშობლიური ენა, აქედან ვეცნობით ჩვენსას და უცხო მწერლებს; თეატრმა უნდა აღზარდოს მომავალი თაობა, მან წარმოშობოს ქართული დრამატიული და სიტყვა კაზმული მწერლობა.

თეატრია ერის სარკე, მისი ნამდვილი სახე...

და ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილი სწორედ ამ თვალით შესცქერის თეატრს, ასე გრძნობს იგი... გრძნობს და თანაც თავსა და ბედს იწყევლის: „თვალი ხედვად არა მქონდეს, ყური სმენად“ და გრძნობანი ჩემნი ჩაკვდეს, გული ქვად მექცესო“...

იგი ასე ფიქრობს, რადგან, ამ თავის ერთად ერთ ეროვნულ დაწესებულებას, ამ წყაროს კულტურისას ხედავს დაშრეტილს, სულთმობრძავს, მომაკვდავს; ექიმები თავს დასტრიალებენ, მაგრამ წამალი ვერ დაუდვიათ; დოსტაქრები ხელში მახვილით გარს უვლიან, მაგრამ ეშინიანთ დანა დაჰკრან დაჩირქიანებულს ადგილს ავადმყოფისას.

მიდის დრო და სნეული ისევ გაჭირვებაშია, ხსნა კი არსაიდან სჩანს.

სხვა ერებს და სახელმწიფოებსაც ჰყავდათ ასეთი სნეულნი, მაგრამ მოურჩენიათ.

ჩეხიაში თითო კაპეიკის შეწირულებით ერმა თეატრი ააშენა და სასცენო ხელოვნება ააყვავა. მთელი ერის ერთსულოვნებამ, მისმა სიყვარულმა სამშობლო ხელოვნებისადმი აღმართა ძეგლი და ზედ წააწერა: „ხელოვნება ერის სულის სარკეა“...

ვინ არ იცის ქართული თეატრის დაარსების დღიდან აქამომდე ქართ. თავ.-აზნაურობას რამდენი მსხვერპლი გაუღია, რამდენი ათასები დაუხარჯავს, მაგრამ ეს ათასები, რომელიც ამ ჟამად მილიონს აღემატება, დახარჯულა და ჩვენი სასცენო ხელოვნება-კი ისევ პირველ ყოფილ მდგომარეობაშია. არც გაუმჯობესდება იგი თუ არსებული სისტემა საქმის წარმოებისა ძირიანად არ შეიცვალა.

ამ შემთხვევაში ზედგამოჭრილია რუსული ანდაზა: „У семи нянекъ дитя безъ глазу“. ჩვენს ბავშვს-კი

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგანაც ჩვენი თეატრის მდგომარეობა, მართლაც, იმნაირი, რომ მრავლმხრივ გამორკვევასა თხოულობს,

**რედ.**


# წლიურ ხელის მომწერთა საყურადღეგოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერ-ად ითვლება:

ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,

და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 მარტამდე 2 მ., 1 **მაისამდე 2 მ.** და დანარჩენ მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც **მაისი** ახლოვდება ვთხოვთ, ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მოწერის უფლება, რომლის ძალითაც პრემია **მიიღო.** **„სახალხო გაზეთის“ კანტორა.**


ორთავ თვალები დაუბრმავდა. შეიძლება ასეც ითქვას: დაბადებისას პირველად იხილა სინათლე და იმ წუთშივე დაბრმავებულს, ამ ჟამად ჰასაკში მოსულს მზის სხივები ენატრება“. საღად შობილი, გასაზრდელად განმზადებული ცუდად მოვლამ დაასახიჩრა, დაამახინჯა. შვიდ ძიძას, გამგეობის შვიდ წევრო, ბავშვი ორთავ თვალებით დაუბრმავდა.

30 წელიწადზე მეტია დრ. საზოგადოება არსებობს და მისი გამგეობა აწარმოებს სცენის საქმეს. დიდია მისი ღვაწლი. ამ ხნის განმავლობაში გამგეობა ცდილობდა ქართული თეატრის არსებობა არ მოესპობილიყო. ასეც მოხდა. ქართული თეატრი არსებობს, მაგრამ არსებობს თითქმის იმ სახით, რა სახითაც იგი დაიბადა, მას შერჩა პირველ-ყოფილი ფორმა, სახე და სული.

დიდია მეთქი ღვაწლი, მაგრამ დიდია მათი შეცდომებიც. თუ მათ მოღვაწეობას კრიტიკულის თვალით შევხედავთ, დადებითი მხარეს გამგეობის მოქმედებისას უარყოფითი მხარეები სრულიად დაჩრდილავს.

სანიმუშოდაც ვერ დავასახელებ ისეთ სეზონს, რომლისთვისაც გამგეობა, როგორც ანტრეპრენიორი მომზადებული ყოფილიყო.

15 აგვისტომდე, და ხშირად 1-ლ სექტემბრამდის, თითქოს დავიწყნია თავიანთი მოვალეობა საზოგადოების წინაშე, ყველა საკუთარი საქმით არის გართული. (ეს არც საკვირველია. გამგეობის ყველა წევრი მხოლოდ ზედმეტ თავისუფალ დროსა სწირავს ამ საქმეს, ქველმოქმედებენ).

ბოლოს გამოფხიზლდებიან; მოაგონდებათ, რომ ქართველ საზოგადოებისთვისაც საჭიროა წარმოდგენები. დაიწყება არტისტების მოწვევა.

შესდგება დასი.

მზად არ არის არც რეპერტუარი, არც პიესებია, არც როლები.

დაიწყება არქივში ჩხრეკა და ამოცურდება ძველი პიესები.

საზოგადოებაც გაურბის ამ აბეზარ სიძველეს, უხეიროდ ნათამაშევს.

ასე ნაჩქარევად, მოუმზადებლად დაწყებული საქმე უნიადაგოა. იგი შუაზე წყდება და კვლავ გაისმის დავალიანებულ გამგეობის ჩივილი და მშიერ მსახიობთა კვნესა.

უიმედობა, სასოწარკვეთილება, ლანძღვა-გინება გაისმის საზოგადოებაში... გამგეობა კი იმედს არა ჰკარგავს.

დავალიანდა? მერე რა ვუყოთ? მას ეგულება დაუშრეტელი წყარო ქველ-მოქმედების და გულკეთილობისა — თავად-აზნაურობა. ელოდება საზოგადო კრებას, კრებაზე-კი გაისმის: „მიეცეს“, ამ სიტყვის შემდეგ გამგეობა წამოჰყოფს თავს და დაიწყება ისევ ძველი ზღაპარი.

გამგეობა მუდამ ძველი გზით დადის, და ამ გზას მაღალ ფარდოვანი სიტყვებით აფერადებს, ხოლო ამ სიტყვების შედეგი სეზონის ბოლოში ცხადდება.

თავად-აზნაურობის ამ უსაზღვრო ქველ-მოქმედებამ გამგეობა გააზარმაცა და თვითმოქმედების უნარი დაუკარგა. ანტრეპრიზით გატაცებულს ნამდვილი დანიშნულება დაავიწყა და თუ ჩვენი თეატრი აქამდის წინ ვერ წასულა, უმთავრესი ბრალი ამაში მიუძღვის თვით გამგეობას. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ყოველ დარგს ხელოვნებისას სპეციალისტი, მცოდნე პირი უნდა ედგეს სათავეში და განაგებდეს.

შეიძლება მე კარგი ვექილი, ექიმი, ანუ მოხელე ვიყო, მაგრამ სათეატრო საქმე პრაქტიკულად არ მესმოდეს.

ჩვენი გამგეობის წევრთა უმრავლესობა სწორედ ასეთები იყვნენ, ბოდიშს ვიხდი, არიან კიდეც. თითეულ მათგანს თავისებურად ესმის ხელოვნება და ცდილობს თავისი აზრი საქმეშიაც გაატაროს. საზოგადოებას, მის მოთხოვნილებას, მის გემოვნებას, დროს-კი ანგარიშს ვერ უწევს. მას არა აქვს ამისათვის საჭირო დაკვირვება და საკმაო გამოცდილება. გამგეობის წევრი უფრო კერძო მაყურებელია, ვიდრე საქმის მცოდნე, სპეციალისტი.

(დასასრული იქნება)

**ვალ. შალიკაშვილი.**

# ლენის მუშათა გაფიცვა და დახოცვა

**განმარტება მთავრობისა.**

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო).

სალამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს **როძიანკო.** მინისტრთა ლოჟაში სხედან: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა და ვაჭრობის მინისტრები. **შინაგან საქმეთა მინისტრი** სათათბიროს აძლევს განმარტებას იმის შესახებ, თუ რად დასჭირდა ადმინისტრაციას იარაღის ხმარება. მთელი საზოგადოების ყურადღება მიქცეულია იმ სამწუხარო ამბავისაკენ, რომელმაც 163 კაცი იმსხვერპლა. რა თქმა უნდა ეს ამბავი მწუხარების მეტს არაფერს იწვევს. დაგვერწმუნეთ, მთავრობაც იზიარებს თქვენს მწუხარებას, მაგრამ სურვილი სიმართლის გაგებისა ყოველთვის სამართლიან დასკვნამდე არ მიგვიყვანს ხოლმე. საჭიროა გულფიცხობას თავი დავანებოთ და დამშვიდებულის გულით შევხედოთ საქმეს. მუშებისა და ლენის ამხანაგობის ეკონომიურ ურთიერთობის გამორკვევა ვაჭრობის სამინისტროს კომპეტენციას შეადგენს, თუმცა სამინისტროში არა ნორმალურ ურთიერთობის შესახებ არავითარი ცნობები არ არსებობს. იქნება ეს იმითიც აიხსნება, რომ განსაკუთრებულ გეოგრაფიულ პირობების წყალობით, ადგილობრივი ადმინისტრაცია კარგად ვერ ადევნებდა თვალ-ყურს ლენის ამხანაგობის მოქმედებას. მაგრამ ჩვენ გვიკიჟინებენ არა უმოქმედობას, არამედ გადაჭარბებულ მოქმედებას. მთავრობას აბრალებენ, რომ იგი მშვიდობიან გაფიცვაში ჩაერია და სრულიად უსაფუძვლოდ იარაღი იხმარა. მინისტრს მოჰყავს მოკლე სქემა გაფიცვის მიმდინარეობისა და ამბობს, გაფიცვას სოციალისტური ხასიათი ჰქონდა, მას განსაკუთრებული კომიტეტი ხელმძღვანელობდაო. კომიტეტის მოქმედებამ აიძულა ირკუტსკის ბრალმდებელს წინასწარი გამოძიება დაეწყო, რადგანაც 1905 წლის 2 დეკემბრის კანონით არავინ ისჯება მხოლოდ გაფიცვაში მონაწილეობისთვის, და არა ისეთი ორგანიზაციის მოწყობისათვის, რომელიც მიზნად ისახავს გაფიცვის მოწყობას საზოგადოდ. სისხლის სამართალში მიცემამ ვერაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგანაც ადგილობრივ პოლიციას საკმაო ძალა არ აღმოაჩნდა. ისპრავნიკმა სასამართლოს ისიც კი შეატყობინა, ვერავის გავჩხრეკავ და დავატუსაღებ, რადგანაც საკმაო ძალა არა მაქვსო. იქნება ამან უფრო გაამწვავა მდგომარეობა. შეფიქრიანდნენ, ვაი თუ მუშებმა ამხანაგობის ქონება გაანადგურონო. მაშინ გაიგზავნა ჯარი და ადგილობრივ პატივცემული, ცნობილი თავისი მოღვაწეობით სამთო ინჟინერი ტულჩინსკი და როტმისტრი ტრეშჩენკო. ამ უკანასკნელს ყველა ადგილობრივი საპოლიციო დაწესებულებანი უნდა შეეკავშირებინა. უზარ-მაზარ ბრბოს უთავბოლო ხეტიალმა ამ დროს უკვე ნაყოფი გამოიღო. ბრბო პოლიციაში შევიდა და ჩხრეკავდა, აჩერებდა სამგზავრო მატარებლებს, წინააღმდეგობას უწევდა, როდესაც, თანახმად სასამართლოს დადგენილებისა, ამხანაგობის სადგომებიდან მუშებს ასახლებდნენ. ტულჩინსკი, რომელიც მუშების მეგობრადაა ცნობილი და რომელიც ვაჟკაცურად მიეგება ბრბოს, ბევრს ამშვიდებდა ხალხს, მაგრამ ვერაფერს გახდა, ისიც სროლაში მოჰყვა. მდგომარეობა აუტანელი გახდა, და ირკუტსკის გუბერნატორიც იძულებული გახდა დეპეშით შეეტყობინებინა როტმისტრ ტრეშჩენკოსთვის, დაუყოვნებლივ სასამართლოს დადგენილება სისრულეში მოიყვანეთ და დაატუსაღეთ კომიტეტის წევრებიო.

ეს განკარგულება სისრულეში მოიყვანეს 4 აპრილს; ამას მოჰყვა სისხლის ღვრა, რამაც 163 მუშა იმსხვერპლა. სროლის მთელი სურათის გამოსარკვევად მინისტრი ტულჩინსკისა, ტრეშჩენსკისა და ბრალმდებლის ამხანაგის დეპეშებსა კითხულობს. როტმისტრი ტრეშჩენკო სხვათა შორის კატეგორიულად აცხადებს, რომ მუშების საქციელი კომიტეტის წევრთა დატუსაღებამ კი არ გამოიწვია, არამედ იმან, რომ მუშები დაუსჯელად სთვლიდნენ თავიანთ თავსაო. როტმისტრ ტრეშჩენკოს რომ უფლება ჯარის უფროსისთვის არ გადაეცა, ჯარს გაანადგურებდნენ, იარაღს აჰყრიდნენ. სამჯერ გააფრთხილეს მუშები, მაგრამ ისინი არ შეჩერდნენ. პირველად რჯამ ესროლეს, ბრბო მიწაზე განერთხო, ამიტომ ჯარმა ორჯელ კიდევ ესროლა. იმდენად საშიში მდგომარეობა იყო, რომ ჯარს იარაღის აყრა მოელოდა. სალდათები კი ღელავდნენ და თხოულობდნენ, სროლის ნება მიეცათ. ტულჩინსკი მუშებმა ძალით დაინარჩუნეს და ამრიგად იგი სროლაში მოჰყვა. ბრბომ სროლის ადგილას დასტოვა აგურები, კეტები და ჯოხები. მინისტრის აზრით ამ შემთხვევაში პოლიციას შეგვიძლიან ყველაფერი დავაბრალოთ, მაგრამ არა გადაჭარბებული მოქმედება. პოლიცია მხოლოდ სასამართლოს განკარგულებას ასრულებდა და თავის სუსტი ძალღონის და გვარად წესიერებას იცავდა. გაფიცვის სარჩული მარტო ეკონომიური კი არ არის, არამედ პოლიტიკურიც. დატუსაღებულთა შორის არიან შემდეგნიც: სობოლევი, დასჯილი არა ლეგალურ ლიტერატურის გავრცელებისთვის, დუმკე, დასჯილი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობისთვის, როზენბურგი, დასჯილი რევოლუციონერობისთვის. კომიტეტის ზოგიერთი წევრი დაიმალა. დაიმალა მაგალითად, მეორე სათათბიროს დეპუტატი ბატაშოვი, რომელსაც ოთხი წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი. ასეთანა ხელმძღვანელთა წყალობით, რა თქმა უნდა, გაფიცვას მარტო ეკონომიური ხასიათი არ ექნებოდა. მაგრამ საჭიროა 4 აპრილის ამბები ყოველის მხრით იყოს განხილული. ჰქონდა თუ არა ჯარს ფორმალური უფლება, იარაღისთვის მიემართა? ბრბოს რომ იარაღი აეყარა, მაშინ იტყოდით, ჯარმა უკანონობა ჩაიდინაო. გუშინ მივიღე დეპეშა, რომლითაც მატყობინებენ, ბრბოს მიზანი იყო, იარაღი აეყარათ ჯარისთვის, გაენადგურებინათ იქაურობა. დამეთანხმეთ, რომ ამის ნებას მუშებს არავინ მისცემდა. ჯარი და იარაღი განუყრელია. იარაღის დაკარგვა—ჯარის კაცის სირცხვილია. ჯართან ხუმრობა არ შეიძლება. ჯარი მოქმედობს, თანახმად ფიცისა, წესდებისა, დისციპლინისა. როდესაც გონება დაკარგული ბრბო, ბოროტ აგიტატორების მიერ აღელვებული, ჯარს მისევა, მაშინ ჯარმაც სროლით უნდა უპასუხოს. ასე ყოფილა ყოველთვის და შემდეგშიაც ასე იქნება (ტაში მარჯვნით) 4 აპრილის სამწუხარო ამბავი მძიმე ლოდად უნდა დააწვეს გულზე არა იმას, ვინც ჯარის სათავეში იდგა, არამედ უკვე დატუსაღებულ აგიტატორებს: სობოლევსა, დუმკეს, როზენბურგსა და ბატაშოვს, რომელმაც გაქცევა მოასწრო. (ტაში მარჯვნით, სტვენა მარცხნით).

**ვაჭრობის მინისტრი.** ამხანაგობის მიერ ჩადენილ უსამართლობათა შესახებ ცნობანი მთავრობამ პირველად 1911 წ. იანვარში მიიღო, ამ ცნობაში მოხსენებული იყო, რომ ბინები არ ჰქონდათ საკმაო, საექიმო დახმარებაც აკლდათ, მუშებს ანგარიშის გასწორებას უგვიანებდნენ. სამთამადო უწყებამ მოსთხოვა ამხანაგობას, რომ დაუყოვნებლივ აესრულებინა საოლქო ინჟინერის მოთხოვნილებანი. საექიმო საქმე გააუმჯობესეს. ანგარიშების გასწორებაში კი ამხანაგობა რიგიანად ვერ იქცეოდა და სხვა ამხანაგობაზე აგდებდა საქმეს. ბინების ნაკლებულობაზე სამთო უწყებამ რამდენჯერმე მიაქცია ამხანაგობას ყურადღება. სამთო უწყებას მუშებისაგან არავითარი საჩივარი ამხანაგობაზე არ შეუტანია. მხოლოდ 7 მარტს მიიღო სამთო უწყებამ დეპეშა, სადაც 13 მუხლად აღნუსხული იყო მუშათა მოთხოვნილებანი. ეს მოთხოვნილებანი სამ დარგად იყოფება: **პირველი** ეხება ამხანაგობის მიერ კანონებისა, ხელშეკრულებასა და სავალდებულო დადგენილებათა დარღვევას. **მეორე** შეიცავს ისეთ მოთხოვნილებათ, რომელიც ხელ - შეკრულებაში მოხსენებული არ არის, მაგ. ხელ-ფასის მომატება. **მესამეში** მოითხოვენ, რომ შემოღებულ იქმნას რვა საათის სამუშაო დღე, მუშების დათხოვნა მუშათა კომიტეტის დაუკითხავად არა ხდებოდეს, გაფიცვის დღეებში ხელ-ფასი არ დაუქირონ და სხვანი. პირველის დარგზე ორგვარი აზრი წარმოუდგენელია: თუ კი ამხანაგობა კანონებს არღვევდა, მისი საქციელი უეჭველად მთავრობის მოვალეობა იყო ამხანაგობისათვის კანონი აესრულებინებინა. მეორე დარგის მოთხოვნილებაში მთავრობას მხოლოდ რჩევის მიცემა შეეძლო და ძალას ვერ დაატანდა ამხანაგობას, რადგანაც ხელ-შეკრულებაში ისინი ნახსენები არ არის. მესამე დარგის მოთხოვნილებათ კი მუდამ უარყოფით ეკიდებოდა მთავრობა. 18 მარტს ეს მოთხოვნილებანი განიხილა ინჟინერმა ალექსანდროვმა. ამხანაგობამ თანახმობა განაცხადა, რომ რამდენიმე მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, ხოლო რვა საათის სამუშაო დღეს ვერ შემოიღებს, ვერც ხელფასის 30 პროცენტს მოუმატებს, ვერც მუშათა დათხოვნის დროს დაეკითხება მუშათა კომიტეტს და სხვა. საქმე გაართულა იმანაც, რომ ადგილობრივმა მოსამართლემ 42 მუშის სახლობას ბინის დაცლა მიუსაჯა, რადგანაც დამნაშავედ იგინი სცნო და არა ამხანაგობა. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ირკუტსკის გუბერნატორმა შეაჩერა, რადგანაც იმ მიდამოებში სხვა არავითარი მიწები არ მოიპოვებოდა. სამთო უწყებამაც დამნაშავედ სცნო ამხანაგობა და არა მუშები. საოლქო ინსპექტორი 23 მარტს დაბრუნდა ადგილობრივ და მუშებს რჩევა მისცა 1 აპრილიდან მუშაობა განეახლებინათ, ამასთანავე აღუთქვა რამდენიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ 1 აპრილს მუშაობა არ განუახლებიათ. მთავრობა ამ სამწუხარო საქმეს ჯეროვანის ყურადღებით ეკიდება და გამოძიებას აწარმოებს.

## სოფ. წაღვერის ავ-კარგი

(ქართლი).

როდესაც სოფლის ჭირ-ვარამზე გინდა ჩამოაგდო საუბარი, თვალწინ აგეტუზებათ გლეხთა ნივთიერი და გონებრივი სილატაკე.

სწავლა-განათლების მხრივ წაღვერელი და მისი ახლო-მახლო სოფლები ძალიან ჩამორჩენილი არიან. 5-6 სოფელში ერთი სამრევლო სკოლაც კი არ ჰქონებს. აქაურებს არამც თუ სამრევლო სკოლის, ორკლასიან სამინისტრო სასწავლებლის შენახვაც კარგად შეუძლიათ. ვისაც კი შეძლება აქვს, ბორჯომში ჰგზავნის ბავშვებს სასწავლებლად, სადაც მათი შენახვა იაფად არ უჯდებათ. ოდესღაც ყოფილა აქ საეკლესიო-სამრევლო სკოლა, მაგრამ „ყოფილა“ და დღეს კი აღარ არის. წაღვერის მღვდელს მ. ხახიშვილს სკოლა წინდაწინვე მიუკეტია და მისი გადაყვანის შემდეგ კი ის სახლიც დაუკეტია, სადაც თვითონა სცხოვრობდა და სკოლაც იყო მოთავსებული. ამნაირად წაღვერლები დღესდღეობით უსკოლოდ არიან. როგორც ეს „სახალხო გაზეთის“ იანვრის ერთ-ერთ ნომერში იყო ნათქვამი, ზემოხსენებულმა მღვდელმა სასოფლო სახლი მიითვისა, რომელიც ღირს არა ნაკლებ 1200 მანეთისა. ამ არა საკადრის საქციელს იმით ამართლებდა, რომ სახლის ასაშენებლად ჩემი საკუთარი ფული დავხარჯეო. შემდეგ გამოირკვა, რომ მ. ხახიშვილს კაპეიკიც კი არ დაუხარჯავს სახლის ასაშენებლად თავის ჯიბიდან. სასინოდო კანტორაში იჩივლეს აქაურმა გლეხებმა, რომელმაც (კანტორამ) მრევლის საკუთრებად გამოაცხადა ეს სახლი. მიუხედავად ამისა საქმის სრულიად დაბოლოვებას მაინც არაფერი ეშველა და დღეს-დღეობით ეს სახლი ცხრა კლიტითაა დაკეტილი მ. ხახიშვილის მიერ. ეს საქმე აგერ ორ წელიწადზე მეტია რაც სწარმოებს და დასასრული კიდევ მაინც არ მიეცა. ეს საქმე რომ სამოქალაქო სასამართლოში შეეტანათ აქნამდის სამჯერ გადასწყდებოდა. მღვდლის მიერ ასეთი საქციელი მოსაწონი არ არის. მაგრამ მამა ხახიშვილი ხომ საზოგადოებრივ აზრს აგარიშს არ უწევს, არად აგდებს.

აქაურმა გლეხებმა იგრძნეს ზაფხულის მოახლოვება და სააგარაკო სახლების შენებასაც შეუდგნენ. ყოველ წელს ს. წაღვერს ემატება საგარაკო სახლები. შუათანა ოთახი აქ საშუალოდ ხუთი თუმანი ღირს მთელ სეზონის განმავლობაში. ჩვეულებრივი მოაგარაკენი დიდის სიამოვნებით ჰქირაობენ სახლებს. წარსული თვის პირველ რიცხვებში უკვე რამდენიმე საგარაკო სახლი გაქირავდა საზაფხულოდ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. წაღვერი უფ-

როა მოწყობილი, ვიდრე სხვა აგარაკები დ. ბორჯომიდან დაწყებული ს. ბაკურიანამდე. ბევრი კიდევ მჟავე წყლისათვის უფრო მოდის, რომელიც აქ მახლობელ ტყეში გამოჩანჩქარებს. შუა სოფელს ჩაუდის პატარა მდინარე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სოფლისთვის მეტადრე ზაფხულობით. ბევრი ამ წყალს სხვა და სხვა დანიშნულებისათვის ხმარობს, მაგ., საჭმლისათვის, დასალევად, სარეცხად და სხვ. დღეს დღეობით იგი მეტად გაბინძურებულია. ყოველივე ნაგავსა და უწმინდურებას შიგ ჰყრიან. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

წაღვერში გვაქვს თეატრი, რომელიც მოაგარაკეთ უფრო ემსახურება, ვიდრე ადგილობრივ მკვიდრთ. შენობა ფიცრულია და ამიტომ ზამთრობით შიგ წარმოდგენის გამართვა ყოვლად შეუძლებელია სიცივისა გამო, ზაფხულობით კი მოაგარაკეთაც ვერ იტევს.

აქ დაარსდა **წვრილ კრედიტის ამხანაგობა,** რომელიც მახლობელ მომავალში მოქმედებას შეუდგება. ყველას კარგად მოეხსენება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთს დაწესებულებას გლეხებისათვის ჩარჩების გაყვლეფისაგან. მადლობის ღირსია ბ. მიხ. მურვანიშვილი, რომელმაც გლეხებს ჩააგონა საკრედიტო ამხანაგობის მნიშვნელობა და ეს ფრიად სიმპატიური საქმე კეთილად დაგვირგვინა. **სოჩბელი.**

# მოწერილი ამბები

**სადგური აჯიკაბული.** იშვიათ მოვლენად აღნიშნავენ აქაური დიდი ხნის ე. ი. 30 წლის მცხოვრებნი ასეთ შეუდარებელ ამინდებს, როგორიც არის ეს ორი დღე. მიუხედავად იმისა, რომ მარტი დაილია და აპრილიც დადგა სიცხეებით, დაწყებული გუშინ 10 აპრილის დილის 7 საათიდან გაძლიერებული ზენა ქარი ჰქრის, რის გამოც რამდენიმე საქონლის მატარებლის ვაგონები ბაქოდან მომავალი უსახურაოდ ჩამოვიდა. 11 აპრილს გათენებისას 3 საათზე მოჰყვა თოვლი რამაც გასტანა ნაშუადღევის 1 საათამდე და აუტანელი სიცივე გამოიწვია. ამბობენ: თუმცა ეხლა გავივლით საგრძნობელ სიცივეს, მაგრამ კოლო კი ნაკლებად იქნება წელსაო, რაც თავისი გესლით სიცივესაც ავიწყებს ადამიანს და სიცხესაც. **დროებით აქაური.**

**ს. ყვიბისი.** (გორის მაზრა) ეს სოფელი მდებარეობს ბორჯომიდან 3 ვერსის მანძილზე და შესდგება 200 მდე კომლისგან. კულტურის მხრივ ეს სოფელი ძლიერ ჩამორჩენილია, აქ არსებობს ერთად-ერთი ერთ კლასიანი **სკოლა,** სადაც ძლივს თავსდება 40-მდე მოწაფე და იგინიც აუტანელ სიცივეს განიცდიან ზამთრობით ბინის უვარგისობის გამო.

1912 წ. 1 იანვრიდან ბ. მღ. ვლ. ხუციშვილის თაოსნობით აქ დაარსდა **გლეხთა შემნახავ გამსესხებელი ამხანაგობა.**

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ამ სოფლის გლეხებმა ააგეს შენობა, **საამხანაგო დუქნის** გასახსნელად, მაგრამ დღევანდლამდე სხვა და სხვა მიზეზების გამო ეს შენობა მიქირავებული ჰქონდა ერთ ვაჭარს, დღეს საზოგადოების ერთ ნაწილს განზრახვა აქვს გამოიღონ თავიანთი წვლილი და გახსნან **„კოოპერატიული“ დუქანი,** მაგრამ გამოჩდნენ ისეთებიც რომლებიც ურჩევენ ხალხს კვლავ მიაქირაონ ეს შენობა ვინმე ვაჭარს. კარგი იქნება თუ ვინმე შეაგნებინებს კოოპერაციის მნიშვნელობას. **ჯ—იანი.**

# ოსმალეთ-იტალიის ომი
## დეპეშები

**სტამბოლი.** ოსმალეთი თავის სახელმწიფოებს უპასუხებს: ოსმალეთს ავრიკის ოლქების შეუზღუდველი სუვერენიტეტი უნდა დარჩესო. ეტყობა, რომ შუამავლობას ოსმალეთი არ უარჰყოფს.

დაიწყეს დარდანელში ჩაწყობილ ნაღმების ამოღება.

**ბერლინი.** დარდანელის გზის შეკვრას გერმანიის ვაჭრები ძლიერ შეუშფოთებია. სჩივიან, გზის შეკვრამ განსაკუთრებით რკინეულობის გაზიდვის საქმე შეაფერხაო.

**ბუშმეცი.** 9 აპრილს იტალიის სიმაგრეთა წინაშე არაბთა რაზმები გაჩნდნენ, რომელიც იტალიელებმა ზარბაზნით გაჰფანტეს. გუშინ ძლიერი რაზმი არტილერიისა იტალიელთა სიმაგრეებს დაეცა. ბრძოლამ რამდენსამე საათს გასტანა. ოსმალნი ძლიერ დაზარალდნენ და უკუიქცნენ. იტალიელებისათვის 7 კაცი მოუკლავთ და 66 დაუჭრიათ.

**ლონდონი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ განაცხადა: ოსმალეთის მთავრობა სრუტის გზის გახსნის საკითხის განხილვას ვერ შეუდგება, ვიდრე იტალიის ფლოტი ასე ახლოაო.

**სალონიკი.** დარდანელის გზის შეკვრის გამო აქ ჩამოსული გემები „ტიგრი“ და „ათონი“, რომელზედაც 2,500 კაცი იყო დაატყვევეს.

**სოფია.** რუსეთის ელჩმა ბულგარეთის მთავრობას გამოუცხადა: ტყუილია, ვითომც იტალიის ფლოტის მოქმედებაში რუსეთსაც ედვას წილიო.

**სტამბოლი.** იტალიელებს კუნძული ასტიპალეე აუღიათ და ამბობენ, სმირნოს ალყა შემოარტყესო.

# ჩინეთის რესპუბლიკა
## დეპეშები

**კულჯა.** ილიის მხრის პრეზიდენტი ჰაუნი გადადგა. სანაცვლოდ ვერავინ უპოვნიათ. ამიტომ გადასწყვიტეს სინძიანის პრეზიდენტს დასთანხმდნენ და სამი თვის ვადით ორთავე პროვინციას მმართველად დანიშნონ, თუ იგი მთავრობის მიერ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით იმოქმედებს.

**ლონდონი.** ამბობენ, ლხასაში 2000 ჩინელი ჯარისკაციაო. ამათში 200 კაცი მოუკლავთ და ჯარი იძულებული ყოფილა სამხრეთისაკენ დაეხია! სიჩუანიდან ლხასსას 5 ათასი ჯარისკაცი წასულა. იქავე გაიგზავნა მოსაზღვრე თემებში მოგროვილი მოსყიდული ხალხი.

# არეულობა სპარსეთში
## დეპეშები

**თავრიზი.** ზენჯანის მცხოვრებლებმა რუსეთის საკონსულოს დეპეშით სთხოვეს, გვიშველეთ რამე, დაგვიფარეთ ძარცვა-გლეჯისაგან. ამბობენ, ზენჯანის გუბერნატორად შუჯა-უდ-დოულეს ძმას სარდარმოაიდს გაამწესებენო.

ადერბეიჯანში პური ძალიან გაძვირდა, რის გამო რუსეთში სამუშაოდ ბევრი მოდის, მარანდში შუჯა-უდ-დოულეს ბრძანებით დამშეულთ პურს აძლევენ.

**თეირანი.** ზენჯანის არეულობის ბელადნი დაიქსაქსნენ. ჯეგან-შაჰხანი ქალაქში შევიდა, მთავრობა ქალაქის დასჯას აღარ აპირებს და გუბერნატორად სერდარ-მოიედს ჰგზავნის. მთავრობა სცდილობს, რომ მთავრობის საქმეებში სამღვდელოების ჩარევას ხელი შეუშალოს.

**ყაზვინი.** ფიდაებისა და ბახტიართა რაზმი ჩამოვიდა, სულ 600 კაცი. ჩამოიტანეს ოთხი ზარბაზანი. რაზმს უმეთაურებს ზია-უს-სალტანე და შაგაბ-უსსალტანე, ეს რაზმი სალარ-უდ-დოულეს საწინააღმდეგოდ არის გამოგზავნილი.

# დეპეშები
(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)
## საზღვარ-გარედ.
12 აპრილი.

### დუელის საკითხი.

**ბერლინი.** რეიჰსტაგში, სამხედრო კანონპროექტების განხილვის დროს, ცენტრის დეპუტატმა ერცბერგერმა დაჰგმო იმპერატორის მიერ დუელის გამო გამოცემული ბრძანება. სამხედრო მინისტრი შეეცადა გაემართლებინა ბრძანება და სთქვა: ოფიცერი, რომელიც დუელში გასვლას არ მოინდომებს სარწმუნოების გამო, ღირსი არ არის ოფიცრობისაო. ცენტრალებმა და მემარცხენეებმა პროტესტი განაცხადეს ამ სიტყვების გამო და მინისტრს საშუალება წაართვეს ლაპარაკისა. რეიჰსტაგის ვიცე-პრეზიდენტმა ჰააზემ მინისტრის სიტყვების გამო რეიჰსტაგის სახელით აღშფოთება გამოუცხადა და აღნიშნა: მისი სიტყვები გერმანიის ხალხს სრულიად არ შეეფერება და ვერც შეეწყობაო.

### „ტიტანიკის“ გემი.

**ბოსტონი.** გემი „კალიფორნიის“ კაპიტანი იუწყება: ჩვენ, „ტიტანიკი“ რომ დაიღუპა, ოცდა-ათი ვერსის მანძილზე ვიყავითო. გემს ყინული შეხვედროდა, კაპიტანს მანქანები გაეჩერებინა და მეორე დილას ელოდა თურმე. ამის გამო უმავთულო ტელეგრაფის აპარატი ვეღარ მოქმედებდა. უბედურების ამბავი მეორე დილას გაეგო კაპიტანსა.

### უკრაინელთა მოთხოვნილება

**ლვოვი.** პოლონეთის უკრაინელთა გაზეთები უკრაინელთა უნივერსიტეტის დაარსების საკითხს არჩევენ და უეჭველად მის დაარსებას მოითხოვენ. ზოგიერთი გაზეთი მოითხოვს, უნივერსიტეტი ლვოვში კი არა, რომელსამე პროვინციის ქალაქში დავაარსოთო.

## რ უ ს ე თ ი

### ყაჩაღთა თავდასხმა.

**ეკატერინოსლავი.** ორი შეიარაღებული კაცი სოფელ კამენკაში მდაბიო მოქალაქეს რუბლიკსკას შეუვარდა და 300 მანეთი წაართვა. მძარცველებს მდევარი გამოუდგნენ. ერთმა თავი მოიკლა. მოკლულს 2 რევოლვერი, პატრუქიანი ყუმბარა და ბევრი პატრონა აღმოაჩნდა.

### რედაქტორთა დასჯა.

**პეტერბურგი.** სოლქო სასამართლომ ხარკოვის გაზეთ „უტროს“ რედაქტორს ქუეცკის სამი თვის ციხე მიუსაჯა სათათბიროს წევრის გოლოლობოვის ცილის დაწამებისათვის; მწერალს არცაბაშევს „ეტიუდების“ გამოცემისათვის, რომელიც ვითომ ჯარს შეურაცხჰყოფს, ორი თვის ციხე, „რეჩის“ რედაქტორს ელკინს—სამი კვირის ციხე, თანამშრომელს კლიაჩკოვს ორი კვირის ციხე წერილისათვის—„გზათა სამინისტროს კულისები“.

### ქარხნის დაკეტვა.

**სოსნოვიცი.** მუშების გაფიცვის გამო ზავერცეს ქარხნის ადმინისტრაციამ ქარხანა დაკეტა და 6 ათასი მუშა უმუშევრად დარჩა. ქარხანაში გუბერნატორი იყო. ადმინისტრაციამ მუშებთან მოლაპარაკება გამართა.

# წერილი რედ. მიმართ

დიდად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვუძღვნა ულრმესი მადლობა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციას და საადგილმამულო კომისიას. პირველმა შემოსწირა ჩემდა რწმუნებულ სკოლას 50-მდე ჟურნალის ძველი ნომრები, რამოდენიმე ცალი საკითხავი წიგნები და უფასოდ დაუთმო მიმდინარე წლის ჟურნალის №-ები, ხოლო მეორემ შემოსწირა წიგნი: „ფუტკარი და მეფუტკრეობა“.

**მასწავლებელი ყანდაურის სკოლისა მარიამ გაჩეჩილაძე.**

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოთ იმ პირთ, რომელთაც სოფ. მცხეთაში მარტის 11-ში წარმოდგენა გამართეს ადგილობრივ უფასო სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ, საიდანაც დარჩენილი წმინდა შემოსავალი 76 მან. 39 კ. მივიღეთ სრულად.

ამასთანავე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ შრომა ქალბატ. ვალენტინა მიხეილის ასულის კვიციანძისა, რომელიც წარმოდგენას ხელმძღვანელობდა, მომღერალთა გუნდიც კარგად მოამზადა—აგალობა, აგრეთვე თავ. მიხ. დავით. ჭავჭავაძეს, რომლის დახმარებითაც შედარებითიც შემოსავალი კარგი გვქონდა.

გამგეობის წევრები **გ. რ. მრევლიშვილი. მ. ა. ბედუკაძე. ა. ი. წერეთელი.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩვენს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე.

ს. ქვემო-მაჩხაანის სამინისტრო სკოლის გამგე მასწავლებელი ილიკო მენთეშაშვილი „სახალხო გაზეთის“ 551 ნომერში პასუხს აძლევს მღვ. ეგნატე მენთეშაშვილს, სადაც ჩვენს შესახებ ამბობს ვითომც ფარულად მის საწინააღმდეგოდ და ჩირქის მოსაცხებლად მოგვეხდინოს ს. ქვემო-მაჩხაანში საბავშვო სალიტერატურო საღამო.

ჩვენის აზრით ამისთანა ცილისწამებაზე არა ღირს მკითხველი საზოგადოების შეწუხება თავის მართლებით. ამ გარემოების გამორკვევა იმავ სამედიატორო სასამართლოსთვის მიგვინდვია, რომელმაც მღვ. ეგნატე მენთეშაშვილის და მასწავლ. ილიკო მენთეშაშვილის შორის მომხდარი ინციდენტი უნდა გაარკვიოს.

მხოლოდ შედეგი ამ საქმისა გაზეთის საშუალებით გამოცხადდეს.

ქვემო-მაჩხაანის სკოლების სამღრთო-სჯულის მასწავლებლებ **მღ. ი. მენთეშაშვილი,**
**მასწ. ელო შანშიაშვილი.**
**მასწ. გენო შავლიაშვილი.**

# თეატრი და ხელოვნება

**სამუსიკო სკოლის დარბაზში** კვირას, 15 აპრილს, დანიშნულია უკანასკნელი კონცერტი ცნობილ სკრიპკის დამკვრელის **იაროსლავ კაციანისა.** მონაწილეობას იღებს აგრეთვე პიანისტი მ. ელენერი. ფასები დაკლებულია.

# ჩვენი ფოსტა.

**მღ. ეგ. მენთეშაშვილს.** თქვენი წერილი მივიღეთ, მაგრამ საჭიროდ აღარა ვცანით მისი დაბეჭდვა, რადგანაც თქვენი მოპირდაპირე სამედიატორო სასამართლოზე უკვე დაგთანხმდათ.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

### ტფილისიდან გადის.

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—III კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. [illegible] წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, I—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. [illegible]8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—II კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, I—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

### ტფილისში მოდის.

**ბათომიდან:** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 7 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი №1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, I—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/[illegible]0, I—III კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის № 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიანია (საკუთარ. საწოლებით).

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—ი **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

[illegible]0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკანის მოედანზე.

## უფასო საექიმო დახმარება
### ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შაჟერდოვი** (ფეთხაინის ხამართზე, 1, ტელ. 619).

[illegible]—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. [illegible] ტელეფ. 715)

## გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე
(ზამთარში).

### რუსეთის საზოგადოებისა.

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორე—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრით, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკითფეოდოსიით, იალტით, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.


# განცხადებანი

# სამკურნალო
## ექიმთა საზოგადოებისა
### მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფ:

**ბლაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებს, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11 1/3—12 1/2 სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედთა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.**

(100—1615—52)

# ფეხსაცმელები
## თომა დ. ჯანუარაშვილის
### მაღაზია-სახელოსნოში.

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვღებთ შეკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.

(25—285—27)

# ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ქვრივი 2 მ 60 კ გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შემაია და ყოველგვარი გამოსული თევზი

## თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

(წ.—1131—36)

# სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**

(თ. 1646.[illegible])

# ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ [illegible] Полiцейская ქ. № 3, ს. გაბაშვილისა.

# ექიმ ნავასარდიანის
# პირველი კერძო
# სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

## დ ი ლ ი თ:

„606“ — 11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

## ს ა ღ ა მ ო თ ი:

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორიბ. **ა. ნ ვახარდიანი.**

(წ. 1074.56)

**ქ. ბ ო რ ჯ ო მ ი (ბედაბეთის მიდამოში) იყიდება ან იძლევა იჯარით**

მშვენივრად შემოზღუდული ორი ხეხილიანი ვენახი—საკმარისი სარწყავი წყლით, ზომით ერთი 600, და მეორე 1200 საჟენი; თვითეულ მათში იმყოფება ქვიტკირის სახლი, სათონე —მარნით. ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართვა: ქ. **ტფილისში,** ნიკოლოზის ქ. № 75, **ა თ-ძე მიროტინს, გორში**—ფოტოგრაფ **ქარუმიძეს.** (10.3.9.7)

# 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
## დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
# „ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე

**✦ წელიწადი მერვე. ✦**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24 წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскiй прос. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—56 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**


ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.